თავისუფალი გაზეთი „პოსტსკრიპტუმი“
P.S.
„ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გვინდა ტაში!“

MEGA CREDIT
ფულადი გზავნილები
ქუთაისი, რუსთაველის 141. (0 431) 27 52 45; ჭავჭავაძის 55/2. (0 431) 27 67 10

№14 (702) 5 - 11 მაისი, 2014 გამოდის 1995 წლიდან ფასი: 70 თეთრი PSnews.ge

ეწვიეთ გაზეთ „P.S.“-ის განახლებულ საინფორმაციო ინტერნეტპორტალს www.psnews.ge-ს, ყოველდღიურად იკითხეთ ცხელ-ცხელი ამბები და იყავით ინფორმირებული!

ქუთაისური „გვირილობა“

„გვირილობის“, ანუ „თეთრი გვირილის დღესასწაულის“ აღნიშვნას ქალაქში გასული საუკუნის დასაწყისში ჩაეყარა საფუძველი. მაშინ სახალხო ზეიმი გაცილებით მოკრძალებულ სახეს ატარებდა, თუმცა დიდ მისიას ემსახურებოდა: საქველმოქმედო საზოგადოების მიერ შერჩეული ულამაზესი ბანოვანები და გიმნაზიელი გოგო-ბიჭები ბულვარში გვირილების გაყიდვიდან შემოსულ თანხას ჭლექით დაავადებულთა დასახმარებლად აგროვებდნენ.
„გვირილობამ“ და ორმაისობამ უკანასკნელ პერიოდში სულ სხვა ფუნქცია შეიძინა და ქუთაისობის დღესასწაულად გადაიქცა.
ქალაქმა მთელი დღის განმავლობაში მრავალფეროვნად აღნიშნა „გვირილობა“.
დღე ტრადიციულად ბაგრატის ტაძარზე, მეუფე კალისტრატეს ლოცვა-კურთხევით დაიწყო. მერე კი მერიაში ორმაისობის დღესასწაულთან დაკავშირებით იმერეთის გუბერნატორმა და ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებელმა დიპლომატიურ კორპუსს უმასპინძლეს. შეხვედრაზე ლატვიის, ირანის, ჩინეთის ელჩებთან ერთად, საქართველოში ნატო-ს სადამკვირვებლო მისიის წარმომადგენლები იმყოფებოდნენ.
საპატიო სტუმრებმა ქუთაისის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებს და მთელ ქალაქს „გვირილობის“ დღესასწაული მიულოცეს და თანამშრომლობის ფარგლებში უკვე განხორციელებულ და სამომავლო გეგმებზე ისაუბრეს.
მიღების დასრულებისთანავე ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა პატივი მიაგებეს სამი ოთარის ძეგლს. პატივგების რიტუალის შემდეგ კი, დღესასწაული ტრადიციულად მუხნარის ტყეში გაგრძელდა, სადაც სხვადასხვა კულტურული და სპორტული ღონისძიება გაიმართა.
ქუთაისქალაქობის აღნიშვნამ ქალაქში ტრანსპორტის მოძრაობა შეაფერხა, თუმცა ეს დისკომფორტი ქუთათურებს ქალაქში გამართულმა გასართობმა ღონისძიებებმა შეუმსუბუქა.

გაგრძელება მე-8 გვერდზე

„არაპროდუქტიული, ხმაურიანი და ცვლილებებით გამორჩეული“ — როგორ აფასებენ ქუთაისის საკრებულოს 4 წლიან მუშაობას

იხილეთ მე-2 გვერდზე

„იმერეთის წყალმომარაგება დღეს და ხვალ“

იხილეთ მე-4 გვერდზე

„ტრადიციები და ევროპა“ — ვის როგორ ესმის ანტიდისკრიმინაციული კანონი?

დეპუტატები, სასულიერო პირები და საზოგადოება კანონის გარშემო

იხილეთ მე-5 გვერდზე

რევოლუციები — რუსეთი და ამერიკა...

იხილეთ მე-5 გვერდზე

სკოლის დღიური

იხილეთ მე-7 გვერდზე

ქიმერიონი
qimerioni.ge
წიგნების მაღაზია
მისამართი: ქუთაისი, „ჰოპული“; ტელ.: 790 927 927.
წიგნები შენ გელოდება!
ქუთაისი, საავტო ცენტრი „ჰოპული“. წიგნების მაღაზია „ქიმერიონი“. ტელ.: (790) 927 927.

PSnews.ge
ISSN 1987-7056

თემურ გოგოხია: „მოსამართლის უვადოდ გამწესება სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის მთავარი გარანტია“

ინტერვიუ ქუთაისის სასამართლოს თავმჯდომარესთან

იხილეთ მე-3 გვერდზე

სულხან მახათაძე: „ჭიათურაში ინფრასტრუქტურული პროექტები 100%-ით შესრულდა“

იხილეთ მე-6 გვერდებზე

სკანვორდი — გვ. 7 ჯროსვორდი — გვ. 7

განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ქუთაისელ სტუდენტებს შეხვდა

2 მაისს, განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა, თამარ სანიკიძემ იმერეთის გუბერნატორ ზაზა მეფარიშვილთან ერთად ქუთაისის პროფესიული კოლეჯი „იბერია" მოინახულა.

მინისტრი სწავლის პროცესსა და სტუდენტების პრაქტიკულ მუშაობას კოლეჯის ლაბორატორიებში ადგილზე გაეცნო. თამარ სანიკიძე პროფესიული კოლეჯის სტუდენტებს დასაქმებაში ხელშეწყობასაც დაჰპირდა.

„ყველა წარმატებულ კურსდამთავრებულს, ჩვენი მხრიდან, ვპირდებით, რომ დავეხმარებით საკუთარი პროფესიის წარმატებით რეალიზაციაში. ხელს შევუწყობთ კოლეჯის ადმინისტრაციას, რომ ჰქონდეს საქმიანი ურთიერთობები ბიზნეს სექტორთან, მოთხოვნის შესაბამისად მოამზადოს საჭირო კადრი, გააფორმოს მემორანდუმები, რაც მეტ მოტივაციას მისცემს პროფესიული კოლეჯის სტუდენტებს," — განაცხადა სახელმწიფო რწმუნებულმა-გუბერნატორმა ზაზა მეფარიშვილმა.

კოლეჯში ამ ეტაპზე 500-მდე სტუდენტია დარეგისტრირებული, მათ შორის 20 სპეციალური საგანმანთლებლო საჭიროების მქონეა (შშმ). პროფესიები რეგიონის შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით არის შერჩეული. კოლეჯი „იბერია" თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზით არის აღჭურვილი და კვალიფიცირებული კადრებითაა დაკომპლექტებული.

ნესტან ჩაგელიშვილი
psnews.ge

„არაპროდუქტიული, ხმაურიანი და ცვლილებებით გამორჩეული" — როგორ აფასებენ ქუთაისის საკრებულოს 4 წლიან მუშაობას

15 ივნისს ქვეყანა ადგილობრივ ხელისუფლებას ირჩევს. ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე 12 ქალაქის მერს და 72 მუნიციპალიტეტის გამგებელს ირჩევენ. მოსახლეობის მიერ გაკეთებული არჩევანის შესაბამისად, ქუთაისშიც ახალი საკრებულო დაკომპლექტდება, თუმცა იქამდე საკრებულო ძველი შემადგენლობით ბოლო სხდომებს მართავს.

ქუთაისის მეოთხე მოწვევის საკრებულოს დაგეგმილი მხოლოდ ერთი სხდომა აქვს ჩანიშნული. დეპუტატები მუშაობას აჯამებენ, ნაწილი ახალ საკრებულოში მოსახვედრად საარჩევნო მარათონში ჩართვას, ნაწილი კი, ახალი სფეროს მორგებას ცდილობს.

„არაპროდუქტიული, ცვლილებებით გამორჩერული და წარუმატებელი"– ასეთ შეფასებებს აძლევენ დეპუტატები ქუთაისის 2010 წლის მოწვევის საკრებულოს. მმართველი გუნდის წევრებს მიაჩნიათ, რომ საკრებულომ გამოწვევებს გაუძლო, ოპოზიცია კი თვლის, რომ საკრებულო ფორმალური და მართვადი გახდა.

მამუკა მღვდელაძე, ფრაქცია „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარე: „ოთხი წლის განმავლობაში საკრებულოში ბევრი რამ მოხდა. მოხდა ცვლილება, რომელსაც ელოდა მთელი ქვეყანა და ეს ცვლილება ჩვენს საკრებულოზე აისახა. არაპროდუქტიული, ცვლილებებით და აყალმაყალით გამორჩეული იყო მეოთხე მოწვევის საკრებულო, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ საკრებულოს უუნარობის გამო არცერთი პროექტი არ ჩავარდნილა, ჩვენ შევძელით და ყველა გამოწვევას გავუძელით, შევძელით სიტუაციის დასტაბილურება აღმასრულებელ ხელისუფლებაში. ვფიქრობ, რომ ახალი მოწვევის საკრებულოში მინიმუმ სამი პარტია იქნება წარმოდგენილი."

ვიტალი ბოჭორიშვილი, საკრებულოს წევრი: „ქვეყანაში განვითარებულმა მოვლენებმა ცვლილებები საკრებულოშიც გამოიწვია. ქალაქის განვითარება მეტად ხდება. საკრებულოს 4-წლიან მუშაობას დადებითად შევაფასებდი. რაც შეეხება ახალ საკრებულოს, ალბათ, 3-4 პარტია მოხვდება."

საკრებულოს უმრავლესობისგან განსხვავებით, საკრებულოს ოთხწლიან მუშაობას ორ ეტაპად ყოფენ უმცირესობაში. „ნაციონალური მოძრაობის" წევრის, გია გოქაძის განცხადებით „ქართულმა ოცნებამ" მიუღებელი თამაშის წესები დაამტკიცა, რის შედეგსაც აუცილებლად მოიმკის ვანო და ბაჩო.

გია გოქაძე, ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობა": „საკრებულოს მონაწილეობა ორ ნაწილად უნდა გავყოთ. 2012 წლის არჩევნებამდე, როდესაც ბევრი რამ ხდებოდა ქალაქში და მეორე — არჩევნების შემდეგ პერიოდი. „ქართულმა ოცნებამ" თვითმმართველობაში გადატრიალება მოახდინა. მოიყვანა პარტიული ელიტა. საკრებულომ ვერ გაუძლო ზეწოლას, დაიშალა „ნაციონალური მოძრაობა", დარჩა 5 კაცი. ეს იყო ცუდი როგორც ჩვენთვის, ასევე ქალაქისთვის, რადგან ხალხმა ხმა მისცა „ნაციონალურ მოძრაობას", მათ კი ვერ შეძლეს ამ ხმის დაცვა. მთავრობამ მიუღებელი თამაშის წესები დაამტკიცა, ზეწოლით და მუქარით შეძლეს დეპუტატების გადაბირება, რის შედეგსაც მმართველი გუნდი აუცილებლად მიიღებს. გამოჩნდა, რომ ადამიანები ხელისუფლებაში არა მსოფლმხედველობით, არამედ იმის მიხედვით მოდიან, თუ ვინ არის ხელისუფლებაში. შეიძლება ითქვას, რომ „ქართული ოცნება" კარგად არ დაასრულებს, მათ ჰგონიათ, რომ ამ არჩევნებს მოიგებენ. მათი მერობის კანდიდატი შოთა მურღულია თავისი განცხადებებით არაადეკვატურია, ამიტომ სჯობს ცოტა ილაპარაკოს და საქმე აკეთოს. თუკი მან გაიმარჯვა, სამწელიწადნახევარი ქალაქში მარტივი სიტუაცია არ იქნება."

ოთხი წლის განმავლობაში საკრებულომ ორი თავმჯდომარე გამოიცვალა. მრავალწლიანი მმართველობის შემდეგ თავმჯდომარის პოსტი „ღირსეულად" დატოვა ამირან ხვადაგიანმა და ბოტანიკური ბაღის დირექტორის სავარძელში გადაინაცვლა. მისი ადგილი კი „ნაციონალური მოძრაობის" „გაპატრიოტებულმა" მდივანმა თამაზ მარგველაშვილმა დაიკავა.

თუმცა, მარგველაშვილის გარშემო მოვლენები ამით არ დასრულებულა. საკრებულოს თავმჯდომარემ ყველასგან მოულოდნელად ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებელ შოთა მურღულიას უფლებამოსილება შეუჩერა, რასაც ქუთაისელთა აქციები მოჰყვა, შედეგად მარგველაშვილი სახლში, მურღულია კი მერის კაბინეტში დაბრუნდა. 2010 წლის მოწვევის საკრებულო კი მუშაობას თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლით ასრულებს.

საკრებულო დეპუტატების მხრიდან პოლიტიკურ ვექტორზე ადგილმონაცვლეობითაც გამოირჩეოდა. დეპუტატები „ნაციონალური მოძრაობიდან" „პატრიოტთა ალიანსში", „ალიანსიდან" კი „ქართულ ოცნებაში" ინაცვლებდნენ.

რაც შეეხება გენდერულ ბალანსს, საკრებულო ამ მხრივ ნამდვილად არ გამოირჩეოდა, 24 წევრიან საკრებულოში მხოლოდ 2 ქალი დეპუტატია წარმოდგენილი, რომლებიც აქტიურობით ნამდვილად არ გამოირჩეოდნენ.

საკრებულოს დეპუტატთაგან იყვნენ ისეთებიც, „მთელი წლის განმავლობაში ხმა რომ არ ამოუღიათ" და მხოლოდ პარტიული ნიშნის მიხედვით უჭერდნენ მხარს წარმოდგენილ საკითხებს.

განსხვავებით გენდერული ბალანსისა, ასაკობრივი ბალანსი ნამდვილად დაცული იყო.

პარტიები საარჩევნო სიებს ადგენენ, ჯერ უცნობია, მოხვდებიან თუ არა სიებში საკრებულოს მოქმედი დეპუტატები, რამდენად იქნება დაცული გენდერული ბალანსი, რამდენი ძველი და ახალი სახე მოირგებს დეპუტატის მანდატს, ახალი მოწვევის საკრებულოში კვლავ წარმოადგენენ თუ არა ბანერს — „თავისუფლება ვანო მერაბიშვილსა და ბაჩო ახალაიას".

როგორც პოლიტიკური პარტიები აცხადებენ, დეპუტატობისთვის ზოგი ნაცნობ და ახალ სახეებს, ზოგი კი — „ დიმიტრი გელოვანს" ამზადებს.

როგორ გაამართლებს და რა შედეგებს მოუტანს ქუთაისს მეხუთე მოწვევის საკრებულო, ამის შესახებ ქუთაისელები 2017 წელს ისაუბრებენ.

ნესტან ჩაგელიშვილი

მთავარი რედაქტორი:
ნატო გუბელაძე

დიზაინი: ირმა ბახუტაშვილი

ოპერატორი და კორექტორი:
ლალი კუპრაშვილი

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. არ გამოხატავს არცერთი პოლიტიკური პარტიის ინტერესებს. ავტორთა მოსაზრება შეიძლება, არ ემთხვეოდეს რედაქციისას.

B — ნიშნით აღნიშნულია სტატია, რომელიც განთავსებულია სარეკლამო ფართზე

გამომცემელი — შპს „P.S." („პოსტსკრიპტუმი").
ქუთაისის სასამართლოს რეგისტრაცია
№5/ბ-1401

გაზეთ „P.S."-ის კლასიფიკაციის კოდი:
UDC (უაკ) 3+32] (479.22) (054)
პ - 658
P - 86

მისამართი: ქუთაისი. რუსთაველის გამზირი №37ª. პრესის სახლი.

- (032) 2 422 470, (0 431) 24-45-46.
- psnews27@gmail.com
- www.psnews.ge

დევნილთათვის ფართების დაკანონების პროცესი შეფერხებით მიმდინარეობს – საქართველოს სახალხო დამცველი

30 აპრილს საქართველოს სახალხო დამცველმა „დევნილთა და კონფლიქტით დაზარალებულ პირთა უფლებრივი მდგომარეობის" შესახებ ანგარიშის პრეზენტაცია გამართა.

ანგარიშში განხილულია „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ" საქართველოს ახლადმიღებული კანონი, რომელიც ბევრად უფრო ახლოს არის საერთაშორისო სტანდარტებთან, ვიდრე მისი წინამორბედი. თუმცა, კვლავ რჩება გარკვეული ხარვეზები და 2014 წელი გვაჩვენებს, რამდენად ეფექტური იქნება ახალი კანონის იმპლემენტაცია არსებულ რეალობაში.

2013 წელს ჩატარდა დევნილთა ხელახალი რეგისტრაცია, რომლის მონიტორინგში სახალხო დამცველთან ერთად, სხვადასხვა საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები იყვნენ ჩართულები. მონიტორინგის შედეგად სხვადასხვა ხასიათის პრობლემები გამოვლინდა, თუმცა, მთლიანობაში პროცესი დადებითად უნდა შეფასდეს.

დევნილთა მუდმივ საცხოვრებელ ადგილებზე დაბრუნებამდე, სახელმწიფოს პრიორიტეტი კვლავ გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფა და სოციალურ-ეკონომიკური ინტეგრაციის ხელშეწყობა რჩება. ანგარიშში საუბარია კოლექტიური ცენტრების რეაბილიტაციის პროცესზე, რომელშიც გამოიკვეთა რიგი პრობლემები, მათ შორის უხარისხო ჩატარებული სარემონტო სამუშაოები.

კვლავ შეფერხებით მიმდინარეობს კომპაქტურად განსახლების ობიექტებში დევნილთა სარგებლობაში არსებული საცხოვრებელი ფართების საკუთრებაში გადაცემის პროცესი, რაც გრძელვადიანი განსახლების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფორმაა.

გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლების პრობლემებს შორის აღსანიშნავია უსაფრთხოება, ხშირია საქართველოს მოქალაქეების დაკავების ფაქტები რუსი ან ოსი მესაზღვრეების მიერ, სოფელში მცხოვრებთა მძიმე სოციალურ-ეკონომიკური ფონი, უგზოობა, მოსავლის რეალიზაცია, და ა.შ. 2013 წელს ე.წ. მავთულხლართების გავლების პროცესის შედეგად რამდენიმე სოფელს ჩამოეჭრა სახნავ-სათესი მიწები, ხოლო რამდენიმე სახლი ოკუპირებულ ტერიტორიაზე მოხვდა. პოზიტიურ ნაბიჯებს შორის აღსანიშნავია 2013 წელს „გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებებზე რეაგირების დროებითი სამთავრობო კომისიის" შექმნა.

psnews.ge

თემურ გოგოხია: „მოსამართლის უვადოდ გამწესება სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის მთავარი გარანტია"

ინტერვიუ ქუთაისის სასამართლოს თავმჯდომარესთან

მოსამართლეთა უვადოდ დანიშვნა და ნაფიცი მსაჯულები — ეს სასამართლო რეფორმის ის ახალი თემებია, რომლებიც ყველაზე ბოლოს განხორციელდა სასამართლო სისტემაში. ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი თავიდან მხოლოდ თბილისის მასშტაბით ვრცელდებოდა, 2012 წლის 1 ოქტომბრიდან კი ქუთაისშიც ამოქმედდა და ერთი საქმის განხილვაც შედგა.

როგორი ასახვა ჰპოვა რეფორმამ ქუთაისის სასამართლოში, რა სიახლეები დაინერგა, რამდენად წარმატებული იყო ქუთაისის საქალაქო სასამართლოსთვის ნაფიც მსაჯულთა პირველი საქმე, – ამ და სხვა საკითხებზე ვესაუბრეთ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარეს, ბატონ თემურ გოგოხიას.

ქუთაისის საქალაქო სასამართლო

პროლოგის ნაცვლად

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის პროფესიული კარიერა სასამართლო სისტემაში დაიწყო 2000 წელს, როდესაც დაამთავრა სახელმწიფო აკადემიის იურიდიული ფაკულტეტი. იმავე წელს საზოგადოებრივ საწყისებზე დაიწყო საქმიანობა თბილისის საოლქო სასამართლოში (ახლანდელი სააპელაციო სასამართლო). სხვადასხვა დროს ბატონი თემურ გოგოხია იყო მოსამართლის თანაშემწე, სხდომის მდივანი. შემდეგ საქმიანობა გააგრძელა საქართველოს პროკურატურის სისტემაში და დაინიშნა მცხეთა-მთიანეთის საოლქო პროკურატურის განყოფილების პროკურორად. მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდების ჩაბარების შემდეგ, 2008 წელს დაინიშნა ფოთის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარედ. 2010 წლიდან 2013 წლის 1 იანვრამდე იყო ბათუმის სასამართლოს თავმჯდომარე, 2013 წლის 1 იანვრიდან კი არის ქუთაისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე.

თავმჯდომარის განმარტებით, სტატისტიკური მონაცემებით, ქუთაისის საქალაქო სასამართლო თბილისის და ბათუმის სასამართლოსთან ერთად, ერთ-ერთი უმსხვილესია საქართველოში. იგულისხმება საქმეების სიმრავლე, მოსამართლეთა რაოდენობა. არის სამი კოლეგია — ადმინისტრაციული, სამოქალაქო საქმეთა და სისხლის საქმეთა კოლეგია. ქუთაისში 10 მოსამართლე ახორციელებს უფლებამოსილებას, მათ შორის — ერთი მაგისტრატი მოსამართლე, რომელიც წყალტუბოშია.

თემურ გოგოხია აღნიშნავს, რომ კოლეგიები თანაბრად არის დატვირტული, თუმცა საქმეები იმატებს და ეს ნიშნავს იმას, რომ სასამართლოსადმი ნდობაც იზრდება. სისხლის სამართლის მოსამართლეებს, დაახლოებით, 50-მდე საქმე აქვთ წარმოებაში, სამოქალაქო კოლეგიისას — 100-120 საქმე, ხოლო ადმინისტრაციული კოლეგიის მოსამართლეებს — 80-დან 100-მდე საქმე თითოეულს. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე სიამაყით აღნიშნავს, რომ ავტორიტეტული ორგანიზაციების მიერ („საია"; „საერთაშორისო გამჭვირვალობა□საქართველო") ჩატარებულ კვლევებში ქუთაისის სასამართლოს ყოველთვის კარგი მაჩვენებლები აქვს ნდობისა და მომსახურების ხარისხის კუთხით.

დიალოგი

— ბატონო თემურ, რა ეტაპზე არის ამჟამად სასამართლოს რეფორმის პროცესი და როგორ აისახა ეს ქუთაისის საქალაქო სასამართლოზე?

— მოგეხსენებათ, რომ სასამართლო რეფორმა დაიწყო 2006 წლიდან და საკმაოდ წარმატებულად გრძელდება დღემდე. პირადად ვარ მონაწილე ამ პროცესების და ვიცი, როგორი იყო სასამართლო, რა პრობლემები იყო და რა შედეგები მივიღეთ. 2006 წელს ყველაზე მთავარი რაც მოხდა, ეს იყო რაიონული დიდი სასამართლოების გამსხვილების პროცესი და მაგისტრატის სასამართლოების ჩამოყალიბება. მთელი საქართველოს მაშტაბით მოწესრიგდა შესაბამისი ინფრასტრუქტურა, აშენდა ახალი შენობები, განახლდა და გარემონტდა ძველი. შეიძლება ითქვას, რომ სასამართლო სისტემის მუშაობისათვის ძალიან კარგი პირობები შეიქმნა.

— თქვენ ახსენეთ მაგისტრატი სასამართლოები. რა ტიპის სასამართლოებია ესენი და რა ფუნქციებს ასრულებენ?

— მაგალითად, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს შემადგენლობაში შედის ტყიბულის, ბაღდათის და წყალტუბოს მუნიციპალიტეტების მაგისტრატი სასამართლოები, რომლებიც მხოლოდ მათ განსჯად საქმეებს განიხილავენ. ესენია: წვრილმანი სამართალდარღვევები, აღკვეთის ღონისძიებები თუ სამოქალაქო დავები 2000 ლარამდე. სხვა ტიპის საქმეები უკვე არის ქუთაისის საქალაქო სასამართლოს განსახილველი.

ქუთაისის სასამართლოში არის სამი კოლეგია — სისხლის სამართლის, სამოქალაქო საქმეთა და ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიები. საქმეების განხილვაც მოსამართლეების მიერ ამ კოლეგიების მიხედვით ხდება. ისევე, როგორც სხვაგან, ქუთაისშიც მოწესრიგდა ინფრასტრუქტურა. გარდა ამისა, გაკეთდა სხდომის დარბაზი ნაფიც მსაჯულთათვის, სათათბირო ოთახები.

სხვა მხრივ, განხორციელდა საერთო სახის ცვლილებები საკანონმდებლო დონეზე, რაც ჩეულებრივად, საერთოა როგორც სხვა სასამართლოებისთვის, ისე ქუთაისის სასამართლოსთვის.

რეფორმის ფარგლებში ასევე დაინერგა ელექტრონული საქმის წარმოების სისტემა — ნებისმიერი საქმე, რომელიც შემოდის სასამართლოში, ხდება მისი ელექტრონული ვერსიის ატვირთვა კანცელარიაში.

— აქ რა ტიპის ელექტრონულ წარმოებაზეა საუბარი — შიდა საქმის წარმოებაზე, თუ მოქალაქეს შეუძლია სარჩელი ელექტრონულად გადმოგიგზავნოთ და არ არის საჭირო კანცელარიაში მოსვლა და ჩაბარება?

— აქ არის საუბარი თვითონ სასამართლოს შიგნით ელექტრონულ საქმის წარმოებაზე. სასამართლო პროცესიც რომ ტარდება, მიმდინარეობს აუდიო ჩაწერა — თუ ადრე ოქმები ხელით იწერებოდა, ახლა ყველაფერი არის ელექტრონული სახით — საქმის მასალები ატვირთულია და თვითონ მოსამართლეც პროგრამაში მუშაობს.

რაც შეეხება მოქალაქეების სახლიდან გაუსვლელად სარჩელის შემოტანას, ამ ინოვაციურ საკითხთან დაკავშირებით ვიცი, რომ მიმდინარეობს მუშაობა.

თემურ გოგოხია, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე

გეტყვით კიდევ ერთ სიახლეს, რომელიც 2014 წლის მარტიდან ამოქმედდა: მიმდინარეობს იურიდიული პირების ჩართვა სპეციალურ სისტემაში. ვინც პირველი ჩაერთო ამ სისტემაში, არიან ბანკები. მათ უკვე შეუძლიათ, სამუშაო ადგილიდან ელექტრონულად შემოიტანონ სასამართლოში სარჩელი. ანუ აღარ არის საჭირო მხარის ფიზიკურად მოსვლა სასამართლოში. საქმეს ენიჭება უნიკალური კოდი და ამ კოდის მეშვეობით მხარეს შეუძლია, ოფისიდან გაუსვლელად ნახოს თავის საქმესთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია. როგორც ვიცი, უკვე მიდის მუშაობა საადვოკატო ბიუროებთან, რომ ისინიც ჩაერთონ ამ სისტემაში. ნელ-ნელა ეს მომსახურება ყველასთვის იქნება ხელმისაწვდომი, რომელშიც ჩართული იქნებიან როგორც სახელმწიფო უწყებები, ასევე კერძო სექტორი. ეს არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რეფორმა სასამართლო სისტემისთვის.

— ბატონო თემურ, რეფორმის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი თემაა ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი. როგორც ცნობილია, ქუთაისის სასამართლოში უკვე ჩატარდა ერთი პროცესი ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით...

— პირველად ნაფი მსაჯულთა ინსტიტუტის განსჯადობა ვრცელდებოდა მხოლოდ გარკვეულ მუხლებზე და მხოლოდ თბილისის სასამართლოში. 2012 წლის 1 ოქტომბრიდან უკვე ამოქმედდა და ქუთაისის სასამართლოს განსჯადიც გახდა ნაფიც მსაჯულთა საქმეები. სანამ აქამდე მივიდოდით, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის დამსახურებით, ძალიან ბევრი ტრენინგი და სემინარი გავიარეთ ამ საკითხთან დაკავშირებით, უცხოეთში წასვლის და იქაური პრაქტიკის გაცნობის ჩათვლით, რის გამოც ქუთაისის სასამართლო ამ ცვლილებას კარგად მომზადებული შეხვდა.

შარშან ჩვენ დავასრულეთ პირველი საქმის განხილვა ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით და უნდა აღინიშნოს ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე, რომ მართლაც წარმატებულად გავართვით თავი ტექნიკური თვალსაზრისით ამ ისტორიულ პროცესს. ამჟამად წარმოებაში გვაქვს მეორე საქმე და მიმდინარეობს ნაფიცი მსაჯულების შერჩევის პროცედურა. კანონით, როდესაც შერჩევის პროცედურა დამთავრდება და შეირჩევიან ნაფიცი მსაჯულები, ისინი უწყვეტად მონაწილეობენ პროცესში. ასევე არსებობენ სათადარიგო მსაჯულები.

— როგორ ფიქრობთ, საზოგადოება უფრო მკაცრია სასჯელში თუ მოსამართლე? მაგალითად, მოსამართლე რა გადაწყვეტილებას მიიღებდა. რატომ იყო უკეთესი ბრალდებულისთვის, რომ ნაფიცმა მსაჯულებმა განიხილეს მისი საქმე. მოსამართლე სხვა გადაწყვეტილებას მიიღებდა?

— მე გამიჭირდება კონკრეტული მაგალითიდან გამომდინარე შევაფასო და ვივარაუდო, თუ რა გადაწყვეტილებას მიიღებდა მოსამართლე, თუმცა ეს გადაწყვეტილება არის კანონიერი, რაც არ უნდა გადაწყვეტილება მიიღოს საზოგადოების ნაწილმა, რომელიც უშუალოდ არის ჩართული მართლმსაჯულების განხორციელებაში. ბრალდებულს მოუსმინეს ჩვეულებრივმა მოქალაქეებმა, მათ მოისმინეს მეორე მხარის არგუმენტებიც, ანუ მოსამართლე არ ერევა ამ პროცესში — მოქალაქეებმა თვითონ განსაჯეს, თვითონ გადაწყვიტეს, ამ ბრალდებულმა ჩაიდინა დანაშაული თუ არ ჩაიდინა.

— ბატონო თემურ, რეფორმის ფარგლებში საუბარი მიმდიანრეობს მოსამართლეთა უვადოდ დანიშვნაზე, თუმცა მანამდე არის საუბარი, რომ გარკვეული გამოსაცდელი სამწლიანი ვადა მიეცემათ მოსამართლეებს. თქვენ როგორც სასამართლოს თავმჯდომარე, მაინტერესებს, როგორ უყურებთ ამ საკითხს?

— ახალი კონსტიტუციით ამოქმედებულია ის ნორმა, რომ მოსამართლე უნდა დაინიშნოს უვადოდ,თუმცა შემდეგ უკვე დამატებით პარლამენტმა მიიღო ცვლილება, რომ მოსამართლეს დაუწესდეს წინასწარი სამწლიანი გამოსაცდელი ვადა და სამი წლის გასვლის შემდეგ, თუ ის დააკმაყოფილებს კრიტერიუმებს, შემდგომ ინიშნება უვადოდ. შემიძლია ვთქვა, რომ როგორც პირადად მე, ისე მოსამართლეთა უმრავლესობას მიაჩნია, რომ დაუშვებელია გამოსაცდელი ვადის დაწესება. მოსამართლეს, რომელმაც 10-წლიანი ვადა ამოწურა, და სურვილი აქვს ხელმეორედ გახდეს მოსამართლე, მასაც ეს სამწლიანი ვადა დაუწესდება. წარმოიდგინეთ, პიროვნება ათი წელი მოსამართლედ მუშაობს, არ დაურღვევია ეთიკის ნორმები, როგორ შეიძლება მას კიდევ მოსთხოვო გამოსაცდელი ვადა, ან რა უნდა იყოს ისეთი, რაშიც უნდა გამოსცადო.

— თუ არის დაკონკრეტებული რას ნიშნავს ეს გამოსაცდელი ვადა?!

— არ არის დაკონკრეტებული. როგორც ვიცი, ამასთან დაკავშირებით კიდევ მიმდინარეობს კონსულტაციები, რომ დაზუსტდეს, რა კრიტერიუმებზეა საუბარი და ასე შემდეგ, თუმცა ის ნორმა, რასაც ჰქვია მოსამართლის უვადოდ გამწესება, ეს არის უმთავრესი მოსამართლის და სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობისათვის, ეს არის მთავარი გარანტია იმისთვის, რომ მოსამართლე იფიქრებს საქმეზე და არა იმაზე, როდის გაუვა ვადა, ვინ შეამოწმებს მას ამ სამი წლის განმავლობაში და ა.შ.

— ანუ, ეს უვადოდ გამწესება არის იმისთვის, რათა გარკვეული ზეწოლებისგან დაიცვას მოსამართლე. მივდივართ მაინც იქამდე, რომ რაღაც ზეწოლა ან ზეწოლის მცდელობა ხელისუფლების მხრიდან ყოველთვის იქნება?

— ნებისმიერ ქვეყანაში (არც საქართველოა გამონაკლისი), ხელისუფლების მაღალჩინოსანი იქნება ეს, თუ სხვა წარმომადგენელი, ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეიძლება, რაღაც მცდელობა ჰქონდეს, რომ სასამართლოზე რაიმე ზეგავლენა მოახდინოს. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მოსამართლის დამოუკიდებლობის გარანტიების უზრუნველყოფისათვის არსებობს კომუნიკაციის წესი და კანონით ისჯება ნებისმიერი კომუნიკაცია მოსამართლესთან, კომუნიკაციის დამყარებაც კი მოსამართლესთან უკვე კანონით არის აკრძალული და ამის ბერკეტი სასამართლოს გააჩნია. გულწრფელად გეტყვით, ჩემი მოსამართლეობის პერიოდში, არც მე და არც ჩემს კოლეგებს ზეწოლის ფაქტები არ გვქონია. მე ვფიქრობ, რომ ამას ვერც ვერავინ გაბედავს და არც ექნება ვინმეს სურვილი. სასამართლოს სისტემა და ნებისმიერი მოსამართლე არის მოწოდების სიმაღლეზე, რომ ზეწოლის საშუალება არავის არ მისცეს, ვერც ვერავინ გაუბედავს მოსამართლეს, ყოველ შემთხვევაში, მე არ მეგულება ჩვენს სისტემაში მოსამართლე, რომელზეც შეიძლებოდეს, რაიმე სახის ზეწოლის მოხდენა ამა თუ იმ ფორმით. თუ ვინმეს ამის მცდელობა ექნება, საკადრის პასუხსაც მიიღებს. ამისი საკმაოდ ბევრი ბერკეტი არსებობს.

ნატო გუგელაძე

პროექტს ახორციელებს შპს „ბესთკომპანი ჯორჯია"
ელფოსტა: bestcompany_z@yahoo.com

„იმერეთის წყალმომარაგება დღეს და ხვალ"

მიმდინარე წლის 10 აპრილს ქუთაისში, დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში, ჩატარდა კონფერენცია „იმერეთის წყალმომარაგება დღეს და ხვალ". მისი ორგანიზატორები იყვნენ ქუთაისის მაჟორიტარი დეპუტატის ბიურო, არასამთავრობო ორგანიზაციები „ახალი სამოქალაქო აზროვნება +" და ასოციაცია „ასა". კონფერენცია გაიმართა პროექტის „ქუთაისის წყალმომარაგებისა და კანალიზაციის ქსელის რეაბილიტაციის პროცესში სამოქალაქო საზოგადოების ჩართვა" ფარგლებში, რომელიც დაფინანსებულია საქართველოში აშშ-ის საელჩოს მიერ. კონფერენციის მსვლელობაში გამოყენებული იქნა ფრიდრიხ ებერტის ფონდის დაფინანსებით მოპოვებული მასალა.

ზაზა ხელაძე, გუბაზ სანიკიძე, ამირან ვაშაკიძე, ლაშა ჭელიძე

კონფერენციის მიზანს წარმოადგენდა იმერეთის რეგიონის მუნიციპალიტეტების თვითმმართველობის, საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარი ბიუროების და წყალმომარაგების სერვის-ცენტრების წარმომადგენლებს შორის ინფორმაციათა გაცვლა, დისკუსია და მომავლის ხედვის წარმოდგენა საკუთარი წყალმომარაგების შესახებ. ასევე იმერეთის თერთმეტივე მუნიციპალიტეტისა და თვითმმართველი ქალაქ ქუთაისის წყალმომარაგების საკითხებში ცენტრალური ხელისუფლების ინსტიტუტების მონაწილეობის შესაძლებლობათა განხილვა, საბოლოოდ ჩამოყალიბებული საერთო აზრიდან გამომდინარე დეკლარაციის მიღება, გავრცელება და განხორციელების დაწყება.

კონფერენციაზე მოწვეულნი იყვნენ იმერეთის რეგიონის თორმეტივე მუნიციპალიტეტის — ქუთაისის, ტყიბულის, თერჯოლის, ზესტაფონის, ჭიათურის, საჩხერის, ხარაგაულის, წყალტუბოს, ხონის, სამტრედიის, ვანის, ბაღდათის მაჟორიტარი დეპუტატები, მათი ბიუროები, თვითმმართველობისა და გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის სერვის-ცენტრის წარმომადგენლები, არასამთავრობო ორგანიზაციები, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო.

სხვადასხვა მიზეზების გამო კონფერენციას ვერ/არ დაესწრნენ ქუთაისის ადგილობრივი თვითმმართველობის, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, რეგიონული და ადგილობრივი წყალმომარაგების წარმომადგენლები. ამ ფაქტზე ყურადღება გაამახვილა ქუთაისის მაჟორიტარმა დეპუტატმა, ბატონმა გუბაზ სანიკიძემ, რომელმაც გახსნა კონფერენცია. მან აღნიშნა, რომ აუცილებელია დამატებითი საკოორდინაციო მუშაობა სამთავრობო რგოლებს შორის, მით უმეტეს, როდესაც საკითხი ეხება ისეთ მნიშვნელოვან პრობლემას, როგორიცაა წყალმომარაგება. მანვე სიამოვნებით აღნიშნა ის დადებითი მოვლენა, რომელსაც წარმოადგენს ქუთაისის მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროსთან არსებული არასამთავრობო ორგანიზაციათა საინფორმაციო-სადისკუსიო ჯგუფის ჩამოყალიბება. კონფერენციას უსურვა ნაყოფიერი მუშაობა და სიტყვა გადასცა ბიუროსთან არსებულ საინფორმაციო-საკონსულტაციო ჯგუფის ხელმძღვანელს ბატონ **ამირან ვაშაკიძეს**.

ბატონმა ამირანმა დამსწრეთ გააცნო კონფერენციის მიზანი, მსვლელობის თანმიმდევრობა, დარიგებული ბეჭდვითი მასალისადმი ყურადღების მიპყრობა, როგორც დამატებითი ინფორმაციის სასურველი წყაროსადმი. კონფერენციის პროგრამის შეთანხმების შემდეგ ბატონმა ამირანმა სიტყვა გადასცა ასოციაცია „ასა"-ს თავმჯდომარეს, ბატონ **ზაზა ხელაძეს**, რომელმაც მიმოიხილა საქართველოში და კონკრეტულად იმერეთში წყალმომარაგების მდგომარეობა.

ბატონი ზაზას გამოსვლაში ყურადღება გამახვილებული იქნა შესაძლებლობასა და მისი გამოყენებისადმი დამოკიდებულებაზე, მონოპოლისტური მოპყრობის მანკიერ მხარეებზე, რომელიც ჯერ კიდევ მოგვსდევს წინა ხელისუფლებიდან. მან ასევე აღნიშნა ცენტრალური ხელისუფლების სუსტი ყურადღება წყალმომარაგების დარგისადმი და სამართლებრივი ბაზის არცთუ გამართული შესრულება. ასევე განხილული იქნა წყლისადმი დამოკიდებულება ყველას მხრივ და იგი შეაფასა უარყოფითად შემდეგი მაგალითის მოყვანით — „როგორ შეიძლება საქართველოში 1კუბური მეტრი წყალი ღირდეს 1 კუბურ მეტრ გაზზე ძვირი (გაერთიანებული წყალმომარაგების მაგალითი)".

შემდეგმა მომხსენებელმა, „ახალი სამოქალაქო აზროვნება +"-ის და პროექტის „ქუთაისის წყალმომარაგებისა და კანალიზაციის ქსელის რეაბილიტაციის პროცესში სამოქალაქო საზოგადოების ჩართვა" დირექტორმა, **ლაშა ჭელიძემ**, განიხილა ქუთაისის წყალმომარაგების სარეაბილიტაციო სამუშაოებში საზოგადოების ჩართულობის შესაძლებლობები. მან მოიყვანა ის მაგალითები, რომელიც გამოიკვეთა ქუთაისში მიმდინარე პროექტის განხორციელების პერიოდში. ყველა პრობლემულ საკითხს თან ახლდა შესაბამისი ფოტომასალა და შესაბამისი დოკუმენტაცია.

მომხსენებელმა განსაკუთრებით გაამახვილა ყურადღება გელათის ქუჩის ბოლოში, „შოთას წყაროს" გარშემო შექმნილ რთულ სანიტარულ ვითარებაზე, რომელიც დადასტურდა ლაბორატორიული დასკვნით, ასევე მიმოიხილა ქუთაისის პირობებში არსებული წყალარინების (კანალიზაციის) პრობლემები და მოსალოდნელი საფრთხეები.

საერთო მიმოხილვის ბოლო გამომსვლელი იყო ბატონი ზაზა ხელაძე, რომელმაც ისაუბრა წყალარინების საკითხებისადმი ყურადღების გამახვილების აუცილებლობაზე. მან წყალარინების პროცესისადმი უყურადღებობა ახსნა იმით, რომ წყალმომარაგების საკითხებში გადაწყვეტილების მიმღები ორგანოების მიერ ნაკლები ყურადღება ეთმობა წყალმომარაგების ქსელის რეაბილიტაციისას, პარალელურ რეჟიმში ახალი საკანალიზაციო ქსელის მშენებლობის საკითხს. დღევანდელი მდგომარეობით სასმელი წყლის აბონენტთა მხოლოდ 70%-ია უზრუნველყოფილი წყალარინებით. ტელე-ანძის მიმდებარე ტერიტორიის წყალმომარაგების ქსელით უზრუნველყოფა შესაბამისი საკანალიზაციო ქსელის მოწყობის გარეშე აუარესებს საერთო მდგომარეობას და წარმოშობს დამატებით რისკებს.

მომხსენებელმა გაამახვილა ყურადღება გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის მხრიდან აბონენტებთან კომუნიკაციის პრობლემურ საკითხებზე:

- გაურკვეველი ვალების და მათი წარმოშვების მტკიცების ტვირთის აბონენტებზე დაკისრება;
- მრიცხველების დადგმის პროცესში აბონენტების ინტერესების გაუთვალისწინებლობა, თანხების საეჭვოდ გაზრდა.

ყოველივე ეს გვაძლევს უფლებას მივიდეთ შემდეგ დასკვნამდე:

- ძალიან სუსტია და შეიძლება ითქვას, საერთოდ არ ხორციელდება კონტროლი საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიაზე სახელმწიფოს მხრიდან, კონკრეტულად საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიიდან;
- წარმოქმნილ პრობლემებს ვერ აკონტროლებს ვერც ადგილობრივი თვითმმართველობა;
- შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია, ფაქტობრივად, გვევლინება როგორც ბუნებრივი, ასევე ბიზნეს მონოპოლისტი.

არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე მომხსენებელმა თხოვა მუნიციპალიტეტებიდან გამომსვლელებს, თავისუფლად, ყოველგვარი დაძაბვის და შელამაზების გარეშე გადმოეცათ მათ არეალში წყალმომარაგების მდგომარეობის დადებითი და უარყოფითი მხარეები, შესაბამისი დახასიათებით და მომავლის ხედვით.

ზოგადი გამოსვლებიდან და საერთო სახლმწიფო თუ რეგიონული განხილვებიდან მოხდა გადასვლა მუნიციპალური წყალმომარაგების განხილვაზე, რომელიც დაიწყო საჩხერის წყალკანალის დირექტორმა ბატონმა ვეფხია კილაძემ. სასიამოვნო მოსასმენი იყო ის, რომ საჩხერის მუნიციპალიტეტში 3007 აბონენტი არის გამრიცხველიანებული და უზრუნველყოფილი შესაბამისი საკანალიზაციო ქსელით, ეს უკანასკნელი კი აღჭურვილია გამწმენდი მექანიკური და ბიოლოგიური მოწყობილობებით.

წარმოდგენილი გამოსვლის შემდეგ გამომსვლელებმა საკმაოდ ვრცლად და დაწვრილებით ისაუბრეს იმ პრობლემებზე, რომლებსაც ისინი აწყდებიან როგორც ყოველდღიურად, ასევე პერიოდულად.

პრობლემების ძირითადი ნაწილი დალაგდა შემდეგნაირად:

- კანალიზაციის ქსელის განვითარება საკმაოდ ჩამორჩება წყალმომარაგების ქსელის განვითარებას;
- წყლის მიწოდება ხდება პერიოდულად, ირღვევა შეთანხმებული გრაფიკები, არ ხდება წყლის ხარისხის ჯეროვანი კონტროლი, ხოლო მომხმარებელი იხდის თანხას „სასმელი წყლის" საფასურად, თანახმად სემეკ-ის №32 დადგენილებიდან გამომდინარე პრინციპებით — „უსაფრთხო, უწყვეტი და საიმედო..." წყალმომარაგებისათვის;
- მომხმარებელი ეგუება ყველაფერს შემდეგი მოტივაციით — „ეს არ გაგვიფუჭდეს და ჯანდაბა ჩვენ თავს...";
- საერთოდ საეჭვოა ზოგიერთ მუნიციპალიტეტში წყალმომარაგების ქსელიდან წყლის სამეურნეო დანიშნულებისათვის მოხმარება (ჭიათურა, ბაღდათი, თერჯოლა);
- მუნიციპალიტეტების წარმომადგენლების გამოსვლებიდან ნათლად ჩანდა, რომ არცერთ მათგანს არ აქვს ჩამოყალიბებული მომავლის ხედვა აღნიშნული საკითხისადმი, თუმცა მისი არსებობა ყველასათვის მისაღები და სასურველი კომპონენტია.

შემდეგმა გამომსვლელმა ისაუბრა სემეკ-ის ღვაწლის შესახებ იმერეთის წყალმომარაგების საკითხებში და ჩამოაყალიბა მათი უწყების მომავლის ხედვა. სამწუხაროდ, კონფერენციის ინიციატორებმა დაინახეს სემეკ-ის როლი წყალმომარაგების კომპანიის ინტერესების დაცვაში და არა ეროვნული თუ საზოგადოებრივი ინტერესების დაცვაში.

კონფერენციის ბოლო აქცენტს წარმოადგენდა იმერეთის წყალმომარაგების ხანგრძლივვადიანი ხედვის პრინციპების ჩამოყალიბება და შესაბამისი საქმიანობის დაწყება.

მომავლის ხედვის ძირითად პრინციპებად წარმოდგენილი იქნა შემდეგი:

- წყალმომარაგების დარგის დაყოფა წყლის მომპოვებელ და სასმელი წყლის მიმწოდებელ კომპანიებად, დასახლების დისტრიბუტორზე (დღეს წყალს მოიპოვებს, ტრანსპორტირებას უწევს, სასმელ წყლად გადაამუშავებს და მომხმარებელს აწოდებს ერთი კომპანია);
- მომპოვებლის არეალი იქნება საკმაოდ ფართო (რეგიონის ნაწილი, რეგიონი, სახელმწიფო), ხოლო სადისტრიბუციო კომპანიის არეალი კი შეზღუდული (ქალაქი, დაბა, სოფელი);
- კონფერენციამ მიიღო დეკლარაციის ძირითადი ნაწილი.

კონფერენციის ბოლოს შევსებული იქნა მცირე კითხვარი მისი მსვლელობისა და აქტუალობის შესახებ.

„ახალი სამოქალაქო აზროვნება +" სტატია მომზადებულია პროექტის „ქუთაისის წყალმომარაგებისა და კანალიზაციის ქსელის რეაბილიტაციის პროცესში სამოქალაქო საზოგადოების ჩართვა" ფარგლებში.

ტელ: 24-24-62
asa@asa.org.ge

This project is funded by the U.S. Embassy Tbilisi. The contents of this publication are those of the Author(s) and do not necessarily represent the views of the Department of State.

პროექტი დაფინანსებულია აშშ-ის საელჩოს მიერ. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები ავტორისეულია და შეიძლება არ ასახავდეს აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის თვალსაზრისს.

Government of the United States

„ტრადიციები და ევროპა“ — ვის როგორ ესმის ანტიდისკრიმინაციული კანონი?

დეპუტატები, სასულიერო პირები და საზოგადოება კანონის გარშემო

ქვეყნის პირველი ანტიდისკრიმინაციული კანონი დაპირისპირების მიზეზი გახდა. კანონპროექტის შეგნებულმა თუ გაუაზრებელმა გაგებამ სასულიერო პირების და საზოგადოების დიდი ნაწილის უკმაყოფილება გამოიწვია. პარლამენტში დაწყებულმა დაპირისპირებამ საკანონმდებლო ეზოში ხმაურიანი აქციით გადაინაცვლა.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ მომზადებული კანონპროექტი დისკრიმინაციის სხვადასხვა ფორმასა და საფუძველს განსაზღვრავს და საქართველოში ყველა სახის დისკრიმინაციას კრძალავს. ამ კანონპროექტის კანონად ქცევა მნიშვნელოვანი ნაბიჯია საქართველოსთვის დისკრიმინაციასთან ბრძოლის საერთაშორისო ვალდებულებების შესასრულებლად და წინაპირობაა ევროკავშირთან ვიზის ლიბერალიზაციის პროგრამის განსახორციელებლად.

ამავდროულად, 1 მაისს პარლამეტთან შეკრებილი საზოგადოება აცხადებდა, რომ ევროპა, საიდანაც გარყვნილობა შემოდის, არ სჭირდებათ.

„აკრძალეთ უხამსი სერიალები და საიტები“, „ნუ ახდენთ ეკლესიის დისკრიმინაციას“, „ჩვენ ქართველები ვართ“, „არ გვინდა ტრადიციებზე გაცვლილი მაპი“ – აცხადებდნენ აქციის მონაწილეები. სასულიერო პირები კი წმინდა წიგნიდან კითხულობდნენ ამონარიდებს.

„ჩვენ მართლმადიდებელი ერი ვართ და ჩვენთვის მამათმავლობა მიუღებელია, ვერავის მივცემთ უფლებას, შეურაცხყოს ჩვენი ტრადიციები. ხელისუფლებამ დაივიწყა კონკორდატი და თავის შეხედულებებით წყვეტს ყველაფერს.

ღვთის მცნებებიდან გამომდინარე, მორწმუნე საზოგადოება არატრადიციულ სექსუალურ ურთიერთობებს სამართლიანად მიიჩნევს მომაკვდინებელ ცოდვად, ხოლო წარმოდგენილი ფორმით ანტიდისკრიმინაციულ კანონპროექტს თვლის ამ ცოდვის პროპაგანდად და დაკანონებად“ — აცხადებდნენ სასულიერო პირები.

მრევლი კი პარლამენტის პარალიზებით იმუქრებოდა.

„ჩვენ არ გვინდა ევროპა, საიდანაც მოდის გარყვნილება. მაგათ უნდათ კაცების ერთად სიარული დააკანონონ. ეკა ბესელია ამ კანონს რომ იცავს, ჯერ თავის ბიჭი დააქორწინოს ბიჭზე, მიიღოს რძლად და ამის მერე ისაუბროს კანონზე. 17 მაისი ახლოვდება და ამიტომ უნდათ ამ კანონის მიღება. თუკი პარლამენტი ამ კანონს დაამტკიცებს, ჩვენ გადავკეტავთ პარლამენტის მისასვლელებს და არავის შიგნით არ შევუშვებთ — აცხადებდნენ აქციის მონაწილეები, ზოგის ინფორმირებულება კი შორს მიდიოდა და აღნიშნავდნენ, რომ პარლამენტს კანონი უკვე მიღებული აქვს და არჩევნების ჩატარებას ელოდება.

აქციაზე ტრადიციების და მომავალი კეთილდღეობის დასაცავად ჰყავდათ მიყვანილი 8 თვის ნიკუშა, რომელიც ჯერ კიდევ დედის ხელში მყოფი, გაკვირვებული თვალებით იდგა მომავალი საქართველოს სადარაჯოზე.

კანონპროექტის პირვანდელი ვერსია ახალი კანონის განხორციელების მექანიზმად ინსპექტორის ინსტიტუტის შექმნას ისახავდა, რაც დისკრიმინაციის შემთხვევების გამოძიებას, კონკრეტული შემთხვევების სისხლის სამართლებრივ შესწავლას და პასუხისმგებელი პირებისთვის სანქციების დაწესებას გულისხმობს. რომლის თავდაპირველი ვერსია, როგორც საქართველოს არასამთავრობო ორგანიზაციებმა, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციებმა და ექსპერტებმა დადებითად შეაფასეს.

სასულიერო პირების და საზოგადოების უკმაყოფილების შედეგად საქართველოს მთავრობამ გადაწყვიტა, კანონპროექტში ცვლილებები შეეტანა. ცვლილებების გამო თავდაპირველი ვერსია შეიცვალა და მნიშვნელოვნად შეამცირა ანტიდისკრიმინაციული კანონის ეფექტურად შესრულების შესაძლებლობა.

ანტიდისკრიმინაციული კანონი 1 მაისს პარლამენტსა და პარლამენტს გარეთ აქტიურად განიხილებოდა. მიუხედავად არსებული უკმაყოფილებისა, პარლამენტმა კანონპროექტი მეორე მოსმენით, 112 მომხრით, დაამტკიცა.

2 მაისს კი დეპუტატებმა კანონი მესამე მოსმენით (104 მომხრე, ერთი მოწინააღმდეგე) მიიღეს.

ნესტან ჩაგელიშვილი

სიტყვას ითხოვს მკითხველი

რევოლუციები — რუსეთი და ამერიკა...

ადრე გარკვეულ კონტექსტში გვაქვს გამოთქმული მოსაზრება პოსტსაბჭოურ სივრცეში არსებულ ვითარებაზე. აქ საუბარი გვექნება რიგ მოვლენებზე დღევანდელობის ჩათვლით.

როგორც საზოგადოებას ახსოვს, ახლო წარსულში აშშ გარკვეული პოლიტიკური წრეების მხრიდან, რუსეთთან მიმართებაში ადგილი ჰქონდა წინასწარმეტყველებას(?!) ხავერდოვან რევოლუციასა თუ არაბულ გაზაფხულზე (ამ საკითხს ქვემოდ დავუბრუნდებით).

ამჯერად უმჯობესი იქნება, შევეხოთ შემდეგ ფაქტორებს. — თავისი მხრიდან რუსეთის პრეზიდენტს „ვარდებისა და ნარინჯის რევოლუციებისადმი“ პასიური დამოკიდებულებით მოუწია მის წინამორბედ ხელისუფალთა (გორბაჩოვ-ელცინის) შეცდომათა გასწორება, რაც მათ დაუშვეს გარკვეულ წილად. საუბარი იმაზე, რომ კრემლის მესვეურმა „რევოლუციების“ მისდა წილ დაშვებით, — დათმენით, შედარებით განმუხტა ვითარება ამერიკასთან (დასავლეთთან), რაზეც სწორედ ბრჭყალებში ჩასმული რევოლუციები მეტყველებს. რა თქმა უნდა, კრემლი ღიად ვერ აღუდგებოდა „რევოლუციებს“, რაც თავისთავად დემოკრატიულ სახელმწიფოთა საშინაო საქმეში უხეში ჩარევა იქნებოდა (თავის მხრივ, გარედან არც ამერიკის ინტერესები გამოკვეთილა მასში, ეს კია, კულისებიდან აწარმოებდნენ პროცესებს „რევოლუციებს“). — ამასთან, და რაც მთავარია, კრემლის მხიდან, სათანადო არსენალის პოტენციალის ნაკლებობის გამო (რაზეც სწორედ გორბაჩოვ-ელცინის შეცდომები მეტყველებს), აქ საკითხი დროის ფაქტორს ეხება. — პუტინის ადგილზე მის წინამორბედთა პირობებში მართლაც უბრჭყალებო, ფაქტიურ (და არა ფიქტიურ) რევოლუციებს ექნებოდა ადგილი, და შეიძლება ითქვას, რუსეთი უამისოდაც დაკარგავდა ტერიტორიებს, ანუ საქართველო და უკრაინა რახანია ნატო-ში იქნებოდნენ. და თუ ამ მხრივ ადგილი ექნება ალტერნატიულ აზრს, მათ მიმართ ისმება კითხვა: რა დაკარგა რუსეთმა ამ „რევოლუციებით“, სად იმყოფებოდნენ და იმყოფებიან საქართველო და უკრაინა მთელი ამ პერიოდის მანძილზე? — ამდენად, დაინტერესებულმა მკითხველმა ნათლად უნდა წარმოიდგინოს, გააცნობიეროს, თუ რაოდენ ძალისხმევა, პოლიტიკის გატარება და დიპლომატია დასჭირდებოდა კრემლის მხრიდან მოვლენათა იმგვარ განეიტრალებას, რომ ვითარება უკიდურესობამდე არ მიეყვანათ (ტერიტორიების დაკარგვით), არამედ „რევოლუციებს“ დასჯერდებოდნენ, რითაც ქართველებსა და უკრაინელებს, თუნდაც ნატო-ში შესვლის ილუზია გაგვიჩნდა, უფრო სწორედ გაგვიჩინეს, როგორც თავად გაცრუებულმა „ნაციონალებმა“ თუ აშშ ისე ოკეანისგაღმელმა იმავე პოლიტიკურმა ძალებმა. ცხადია, პუტინმა იმთავითვე (ხელისუფლებაში მოსვლით — 2000 წ. დასაწყისში) სათანადოდ გათვალა მოვლენები, განჭვრიტა მომავალი, ვიმეორებთ, დროის ფაქტორის გათვალისწინებით!

თავი და თავი ამ მოვლენებისა იქიდან იწყება, როცა სწორედ ცივი ომი დასრულდა, „საბჭოეთი“ დაიშალა. სამწუხაროდ, საზოგადოების გარკვეულ ნაწილს მრუდედ აქვს გაცნობიერებული აღნიშნული გარემოება, მოვლენები, რის ფონზეც ყოველივე ამას ამერიკელთა დამსახურებად მიიჩნევს. ამგვარად, მოაზროვნეთათვის ასევე ისმება კითხვა: თუ ასეა გამოდის, რომ მათ (ამერიკელებს) იგივე ტერიტორიები („სსრკ“), ბალტიის პირეთის ქვეყნების გამოკლებით კვლავაც რუსეთისთვის დაუტოვებიათ. ასეთი მიდგომით კი საერთო ასპექტში იმას ვიღებთ, რომ მათ აქცენტი გაუკეთებიათ არა ტერიტორიებზე (თუნდაც გამონაკლისის გარდა), არამედ უშუალოდ სისტემაზე („საბჭოურზე“). ადმენად, დემოკრატიის ფარგლებში რუსებს შეაცვლევინეს სახელი (სისტემა) ე.წ. დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობად („დსთ“-დ), გნებავთ აცვლევინებენ — „ევრაზიად“ — „ლოგიკურია“ — არა? — რა თქმა უნდა, ცივი ომის დასრულება, „საბჭოეთის“ დაშლა, ასევე აღმოსავლეთ ევროპის („სოციალისტური ბანაკის“ — თავის მხრივ, მოგეხსენებათ, ბალტიის პირეთი აღმოსავლეთ ევროპის ორგანული ნაწილია) გაშვება, ისევ რუსების დამსახურებაა. — ამდენად, ამ მოვლენებით მხარეთა (ამერიკა-რუსეთს) შორის ურთიერთობამ ფორმა იცვალა — ცივი დიპლომატიად გარდაიქმნა, ე.ი. ომი კვლავაც გაგრძელდა (გრძელდება) თანამედროვე ჩარჩოში (?!). — უნდა ითქვას, რომ მთელი ეს პროცესები გამოწვეული იყო ისტორიული კანონზომიერებით, გარდუვალობით, რაც პუტინის დროსაც მოხდებოდა (ეს თემა ცალკე მსჯელობის საგანია), მაგრამ აქ არის ერთი ასპექტი: ამ უკანასკნელის წინამორბედთა შეცდომები იმაზე მეტყველებს, რომ მათ ჯეროვნად ვერ გაართვეს თავი საერთო დინამიურობას, კერძოდ, შეიძლებოდა ასევე აღმოსავლეთ ეროპის შენარჩუნებაც და „დსთ“-ს ანალოგად მოდელირება (სწორედ აღნიშნულ მოვლენებზე გვაქვს გამოთქმული მოსაზრება გარკვეულ კონტექსში, გაცილებით ადრე ივანიშვილის პოლიტიკაში გამოჩენამდე, ასევე შემდგომ, ხელისუფლებაში მოსვლით, მის ფიგურაზე აქცენტირებით)!

რაც შეეხება უკრაინის კრიზისს, რა თქმა უნდა, რუსეთის ფაქტორი გაანიხილება ერთ მთლიან კონტექსტში, გაშლილი აქვს ფართო ფრონტი, რისთვისაც გააჩნია ბერკეტები, პოტენციალი ფრონტისვე საწარმოებლად. უკრაინა კი მოგეხსენებათ მისი სტრატეგიული რეგიონია, მთავარი ძარღვია ევროპაში, რომლის დაკარგვაც სერიოზულ საფრთხეს უქმნის, რასაც არ დაუშვებს. — მეტსაც ვიტყვით, პირადი სუბიექტური აზრით, რუსეთის ფაქტორში არ ვგულისხმობთ ოდენ პოსტსაბჭოურ სივრცეს (გავიხსენოთ, რომ პუტინს თორმეტწლიანი მმართველობა გარანტირებული აქვს, რაც თავისთავად მრავლის მეტყველია)!

ზემოთ ჩვენ ხაზი გავუსვით აშშ გარკვეული პოლიტიკური წრეების მხრიდან „წინასწარმეტყველებას“ რუსეთთან მიმართებაში. იმავე წრეებისათვის სავსებით ნათელია არსის რაობა, ანუ მათ ღრმად აქვთ გაცნობიერებული პუტინის რუსეთის სტრატეგია, — ძლევამოსილება, „წინასწარმეტყველება“ კი ასე ვთქვათ, ერთგვარი დაიმედებაა პოსტსაბჭოურ სივრცეში არსებული ერებისადმი, ფაქტობრივად, კი ეს ისეთივე ილუზიაა, როგორიც ჩვენი და უკრაინის ნატო-ში გაწევრიანებით დაიმედება, რასაც გვპირდებიან „ვარდებისა და ნარინჯის რევოლუციებიდან“ მოყოლებული?! — იბადება კითხვა: წავა თუ არა აშშ ამა თუ იმ რეგიონის გამო რუსეთთან ღია დაპირისპირებაზე? — პასუხი მარტივია, ვითარება იქამდის მიდის, რომ უკვე საუბარია ცივი ომის შესაძლო დაბრუნებაზე?!

ასეთია, ძირითადად, მხარეთა შორის ძალთა ფარდობის ჩვენეული კრიტერიუმი.

ახლა ორიოდ სიტვყით გვინდა შევეხოთ შემდეგს: — მართალია, ამერიკა (დასავლეთი) ჩვენ წარმოგვიდგენია როგორც დემოკრატიის ბურჯი სამყარო, მაგრამ საინტერესოა რა ამოძრავებთ მათ, ერების, ქვეყნების სუვერენიტეტი, თუ როგორც მხოლოდ სტრატეგიულად მნიშვნელოვანი რეგიონების ათვისება (ჩვენი ჩრდილოელი მეზობლის ანალოგიურად)? — ფაქია, რომ 2008 წ. აგვისტოს მოვლენები ხელოვნურად იყო გამოწვეული, როცა წაქეზებულმა სააკაშვილმა პირველმა დაიწყო საომარი მოქმედება (აქ ჩვენ არ ვსაუბრებლობთ ივანიშვილის განცხადებით, რაც მან გააკეთა პოლიტიკაში მოსვლით, თუმცა მას არ განუცხადებია, რომ მიშა ოკეანის გაღმიდან იყო ინსტპირირებული). ამდენად, ამ კონფლიქტით ქართველებს მოუწია ჭინჭრის კრეფვა, რა დროსაც დასუსხული თავისთავად უშუალოდ მკრეფავი დარჩა. ანალოგიური ითქმის უკრაინის კრიზისზეც?!

სხვათა შორის, ისიც აღსანიშნავია, რომ ამერიკელთა საქართველოსადმი „დამსახურება“ პირველად 1991-92 წწ. მოვლენათა ფონზე გამოიკვეთა, როცა არც მათ მოუვიდათ თვალში გამსახურდიას ეროვნული ხელისუფლება, რომელმაც პოლიტიკურად თავი ყველასაგან თავისუფალი და დამოუკიდებელი გამოაცხადა, კერძოდ, — „გამსახურდია დინების საწინააღმდეგოდ ცურავს“. — ეს ამოთქმა ეკუთვნის აშშ მაშინდელ პრეზიდენტს ჯორჯ უფროს ბუშს. — „ დინებას მკვდარი თევზები მიჰყვებიან“. — ეს კი ზვიადის პასუხია ადრესატისადმი — და თითქოს აუხდინეს კიდეც „თავხედობა“?!

რა თქმა უნდა, ჩვენ რუსეთსაც კარგად ვიცნობდით, მაგრამ არახელოვნურად გამოწვეული კონფლიქტით, არამედ 1989 წ. 9 აპრილით, საერთოდ, ისტორიის გადასახედში არსებული მოვლენებით, როცა საქართველო რეალურად (და არა ფორმალურად) იბრძოდა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, მაგრამ კრიტიკულ მომენტში უნდა ამოვიდეთ არა მშრალი ტერმინებიდან — ოკუპანტები თუ აშშ (მით უფრო იმავე ოკუპანტებთან იმავე ამერიკა და დასავლეთი თანამშრომლობდა?!), არამედ რეალობიდან!

აკაკი გვარაკიძე

სასწრაფოდ მიმართეთ იუსტიციის სახლებს, რათა არ დაიწყოს სისხლის სამართლებრივი დევნა — თეა წულუკიანი

საქართველოს იუსტიციის მინისტრი მოქალაქეებს მიმართავს, მისი თქმით, გაყალბებულ პირადობის მოწმობებთან და სხვა სააქტო ჩანაწერებთან დაკავშირებით ამნისტია მოქმედებს და „ყველა მოქალაქეს მოვუწოდებ, რომ სასწრაფოდ მიმართონ სერვისების განვითარების სააგენტოს, იუსტიციის სახლებს, რათა მათ წინააღმდეგ არ დაიწყოს სისხლის სამართლებრივი დევნა, ყალბი დოკუმენტები უნდა გაუქმდეს და ჩვენ ერთ ადამიანზე ერთი დოკუმენტი მივიღოთ."

ამასთან, 1 ივნისამდე, ყველა იმ მოქალაქეს, რომელსაც პირადობის მოწმობაზე უწერია უმისამართო, რომელიც არის რეგისტრაციიდან მოხსნილი, ან რომელსაც იუსტიციის სამინისტროს სახელით ტელეფონით დაუკავშირდებიან, თითოეულ მათგანს მინისტრი ურჩევს სასწრაფოდ, „რადგან დარჩა მხოლოდ 1 თვე, „მიმართონ იუსტიციის სახლებს, სერვისების განვითარების სააგენტოს, უფასოდ, ან გადაიღონ შესაბამისი მონაცემების ფოტოსურათი, სტანდარტული ფოტო, ან აიღონ უფასოდ ელექტრონული პირადობის მოწმობა. „დღესვე, ყველა მოქალაქემ ჩახედოს თავის პირადობის მოწმობას და თუ იქ უწერია უმისამართო, შეუძლიათ 1თვის მანძილზე მობრძანდნენ და აიღონ ახალი, უკვე მისამართით რეგისტრირებული პირადობის მოწმობა."

„ეს არ არის უბრალოდ საკუთარ თავზე ზრუნვა, რაც აგრეთვე მისასალმებელია, ეს არის ქვეყნის მომავალზე ზრუნვა და იმ საარჩევნო სიაზე ზრუნვა, რომელიც არის ჩვენი ცივილიზებული განვითარებისთვის მნიშვნელოვანი." — აღნიშნავს თეა წულუკიანი.

psnews.ge

საარჩევნო კომისიის წევრი პენსიონერები პენსიას ვერ მიიღებენ

პენსიონერები, რომლებიც საარჩევნო კომისიების წევრებად იმუშავებენ, კომისიის წევრობის ხელფასთან ერთად პენსიას ვერ მიიღებენ.

ამის შესახებ ინფორმაცია რამდენიმე პენსიონერმა გაავრცელა. მათი განცხადებით, კომისიის წევრობის შემთხვევაში, ისინი ხელფასის სახით 160 ლარს მიიღებენ, თუმცა კომისიაში მუშაობის პერიოდში პენსიას, 150 ლარს ვერ აიღებენ. მათივე თქმით, ბოლო საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებზე მსგავსი შეზღუდვა არ არსებობდა. ამ საკითხთან დაკავშირებით სახელმწიფო უწყებებში კომენტარი ამ დრომდე არ გაკეთებულა.

წყარო: BPI

სულხან მახათაძე:

„ჭიათურაში ინფრასტრუქტურული პროექტები 100%-ით შესრულდა"

როცა თანამდებობის პირზე ინფორმაციის მიღება გსურს, მისაღებში ხალხის საუბარს უნდა დაუგდო ყური. მართალია, ხალხს ხშირად არაზუსტი ინფორმაცია აქვს, მაგრამ სიმართლის მარცვლებს მაინც იპოვი მათ საუბარში. ჭიათურის მუნიციპალიტეტის გამგებლის მისაღებში 15-ოდე წუთში „დამიგროვდა" ინფორმაცია: თურმე ადგილობრივ არჩევნებზე სულხან მახათაძე იქნება „ოცნების" მიერ წარდგენილი, ასევე ის ჭიათურის ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა მმართველია, ძალიან ხშირად მისი მეთაურობით საქველმოქმედო ღონისძიებები იმართება და ახლახან დაბადებიდან გულის მანკით დაავადებული ახალგაზრდისათვის „სულზე მიუსწრიათ". უცებ მისაღებში შუა ხანს გადაცილებული ქალი შემოიჭრა, მდივანს დაეკითხა: „ჩემი საქმის რა ისმის? გიგი წერეთლის გადმორიცხული 2,5 მილიონის საქმე როგორაა? ამ თანხას არ დავკარგავ და გადაგაყოლებთ სკამებს!" ვერ გავერკვიეთ, რომელ მილიონებზე საუბრობდა ქალბატონი, რომელმაც ისე გაიჯახუნა კარი, რომ ყველა მომლოდინეს ნერვული სისტემა შიგ მოაყოლა. მდივანმა გოგონამ სიტუაციის განსამუხტავად აგვიხსნა, რატომღაც ჰგონია, რომ წინა ხელისუფლებამ მას 2,5 მილიონი გადაურიცხა და ახალმა ხელისუფლებამ დაუმალაო.

ჭიათურაში მიმდინარე მოვლენებზე მუნიციპალიტეტის გამგებელს, სულხან მახათაძეს, რამდენიმე კითხვით მივმართეთ, რომელზეც პასუხები მკითხველისთვის, ვფიქრობთ, საინტერესო იქნება.

— ბატონო სულხან, როგორ შეაფასებდით თქვენდამი რწმუნებულ მუნიციპალიტეტში „ოცნების" მოსვლის შემდგომ პერიოდს?

— მხოლოდ ჩემი პირადი აზრი არ არის ის, რასაც ახლა ვიტყვი. თუ თქვენ ნახავთ ისეთ პროექტებს, „ნაციონალური მოძრაობის" დროს რომ გაკეთდა უნაკლოდ ჭიათურაში, მადლობას გადაგიხდით. სწორედ წინა ხელისუფლების მმართველობის დროს განადგურდა სამთო-მოპოვებითი მრეწველობა და საეჭვო პირობებში გაკოტრდა „ჭიათურმანგანუმი". გაიყიდა კაპიკებად ყველა ის სიმდიდრე, რომელიც მუნიციპალიტეტს გააჩნდა. ჩემი ინტერესი სულაც არ არის ამ ეტაპზე წინამორბედების კრიტიკა. ხელისუფლებაში ხალხმა იმიტომ მოგვიყვანა, რომ უკეთესობისკენ შევცვალოთ მდგომარეობა, მაგრამ უმძიმესი მემკვიდრეობა დაგვიტოვეს. ჭიათურა, ადრეც მითქვამს, არის მიწისზედა და მიწისქვეშა პრობლემებით გაჯერებული მუნიციპალიტეტი. თავი არ დამიზოგავს და ჩემს გუნდთან ერთად ბევრის გაკეთება მოვახერხეთ, თუმცა, გასაკეთებელი კიდევ ბევრია.

— 2013 წლის ინფრასტრუქტურული პროექტები რა რეზულტატებით დაასრულა ჭიათურამ?

— 2013 წელი იყო სასტარტო წელი ჩვენი ხელისუფლებისთვის. შემიძლია, წარმოვადგინო დოკუმენტაცია, რომელიც ცხადჰყოფს, რომ ჭიათურაში ინფრასტრუქტურული პროექტები 100%-ით შესრულდა. ამით არ ვტრაბახობ, უბრალოდ, იმას ვამბობ, რომ ხალხის მიერ დაქირავებულმა ხელისუფლებამ ნაკისრი ვალდებულებები შევასრულეთ.

— 2014 წლის პროექტებთან დაკავშირებით რას გვეტყოდით?

— ერთ საკითხზე მინდა ყურადღება გავამახვილო: ადრე, როცა ტენდერი ცხადდებოდა, თითქმის გამოცხადებული თანხით იგებდა ერთი რომელიმე კომპანია და შესრულებული სამუშაოს ხარისხი უმეტესად იყო არადამაკმაყოფილებელი. ახლა ასე აღარ ხდება, სამაგალითოდ, თუნდაც იმას დავასახელებ, რომ უმწეოთა კვების ტენდერში კონტრაქტორმა გაიმარჯვა გამოცხადებულზე, დაახლოებით, 10 ათასი ლარით ნაკლები თანხით.

— როგორც ვიცი, ჯანდაცვის მიმართულებით დიდი პრობლემებია ჭიათურაში...

— ეს საკითხი ყველაზე მტკივნეულია. ვცდილობთ, რომ სამედიცინო სერვისები ხელმისაწვდომი გავხადოთ მოსახლეობისთვის. სახელმწიფოს პირველ პირებთან ერთად ვფიქრობთ ამ საკითხის უმტკივნეულოდ მოგვარებაზე. სოფელ მანდაეთში, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე დიდია ჭიათურაში, ვაშენებთ ამბულატორიას. ადგილობრივი ბიუჯეტით უკვე ამბულატორიის ტერიტორია მოწყობილია, ახლა იქ მალე დაიდგმება ამბულატორია. ამით რამდენიმე სოფელს ეხსნება სამედიცინო პრობლემა. მართალია, საკმარისი არაა, მაგრამ წინგადადგმული ნაბიჯია და, ვფიქრობ, რომ ბევრად უკეთესი მდგომარეობა იქნება ჭიათურაში ამ მიმართულებით.

— გასულ წელს 18 კილომეტრი გზა მოასფალტდა, რას გეგმავს ადგილობრივი ბიუჯეტი ამ მიმართულებით?

— ადგილობრივ ბიუჯეტიდან გამოიყოფა 49 ათას ლარამდე გზების რეაბილიტაციაზე.

— ჭიათურის სილამაზეს და განსაკუთრებულობას აღიარებენ ქართველებიც და უცხოელებიც. არც ისე დიდი ხნის წინ სლოვაკი ტურისტი აღფრთოვანებას ვერ მალავდა ღამის ჭიათურის სილამაზის ნახვის შემდეგ. განათდება კიდევ მეტად ჭიათურა?

— 12 ქუჩა და შესახვევი განათდება კიდევ დამატებით, ამისთვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოიყო 19 ათას ლარამდე. ამ წლის ბოლომდე ჭიათურაში ღამით გასეირნება კიდევ უფრო მეტად ეფექტიანი იქნება, რადგან გარე განათება იქნება სრულად გამართული.

— საბინაო-კომუნალური მიმართულებით დაგეგმილია ქმედითი ღონისძიებები?

— 120 ათას ლარზე მეტი დაიხარჯება ლიფტების და სახურავების აღდგენაშეძენაზე.

— ეს ყველაფერი ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯზე, მაგრამ რა გაკეთდება რეგიონული განვითარების ფონდის სახსრებით?

— დაახლოებით, 600 ათასი დაიხარჯება ხვაშითისა და ჩხირაულის გზების დასასრულებლად. წელს ამ სოფლებისკენ გზის შეკეთების მეორე ეტაპი იწყება. შიგა ეზოებისა და გზების მოსაწყობად რეგიონული განვითარების ფონდის მიერ გაიხარჯება 190 ათას ლარამდე. ამავე ფონდის საშუალებით მოეწყობა რამდენიმე შიგასააქალაქო და სასოფლო გზა. მერწმუნეთ, რომ სერიოზული თანხები დაიხარჯება გზების შესაკეთებლად და დასაგებად. ალბათ, ყველა აღიარებს იმას, რომ შარშანდელი დაგებული გზები ბევრად უკეთესია, ვიდრე უფრო ადრე დაგებული გზები.

— მახსენდება, რომ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ დაიგო სვერი-ცხრუკვეთის გზის მონაკვეთი. ეს უცნაურობა რატომ მოხდა, ახლაც გაუგებარია, რადგან ჭიათურა-გეზრულის გზის შუა წელში დაიგო 4 კილომეტრამდე გზა...

— ამის მიზეზს ვერ გეტყვით. ის კი დანამდვილებით შემიძლია ვთქვა, რომ ჭიათურა-გეზრულის გზის დასაგებად გამოყოფილია 7,5 მილიონი ლარი მსოფლიო ბანკის მიერ. დაინტერესებულმა პირებმა შეიძლება მოიპოვონ ის ინფორმაცია, სადაც გზის სარემონტო სამუშაოებს ვაპირებთ. უბრალოდ, თანამედროვე ეპოქაში ადამიანებს უგზოობა არ უნდა სტანჯავდეს და ამას მალე მივაღწევთ!

— ბაგირ-გზების შესახებ ბევრჯერ დაიწერა, ბევრჯერ სიუჟეტები გადაიღეს, თუმცა, ვიდრე ჟურნალისტები გულისამაჩუყებელ მასალებს გამოაქვეყნებდნენ, თქვენ მოახერხეთ ქმედითი ნაბიჯების გადადგმა...

— დიახ, ჭიათურა ბაგირ-გზების ქალაქია და, მინდა, სიხარულით ვთქვა, რომ ფრანგულმა კომპანია „პომამ" ბაგირგზების რეაბილიტაციაზე სოლიდური თანხა უნდა გახარჯოს. ჭიათურაში მალე იქნება 14 მილიონი ევროს ღირებულების ბაგირ-გზები, რითაც უსაფრთხო და მოსახერხებელი გახდება მგზავრობა.

— კიდევ რას გეგმავთ?

— აუცილებლად წლის ბოლომდე გარემონტდება საბავშვო ბაღები, სამუსიკო სკოლები, უკვე კულტურის ცენტრი უზრუნველყოფილია გათბობით. იმავეს ვგეგმავთ სპორტულ კომპლექსში. ცხაური შემოევლება სტადიონს, შეიცვლება სანაგვე ურნები და ქალაქი გახდება ბევრად უფრო სუფთა. იგეგმება სკვერების გახსნაც.

— შარშან ჭიათურაში უპრეცედენტო შემთხვევა მოხდა: ჭიათურობაზე არ დახარჯულა ბიუჯეტის სახსრები...

— ეს, ალბათ, უკვე ტრადიციად უნდა იქცეს. თუ სახალხო ზეიმია ჭიათურობა, ის თავად ხალხმა უნდა მოაწყოს. ვცადეთ ეს შარშან და კარგადაც გამოგვივიდა. გასულ წელს ორმაგად მეტი მოსავალი მოუვიდა გლეხობას და ყველამ სიხარულით გამოიტანა ნობათი, რომელიც ასევე უფასოდ დაარიგეს კიდეც მსურველებზე...

— ჭიათურა დაუმეგობრდა თურქეთის ქალაქს, მურღულს, რომელიც ჭიათურის მსგავსად სამთოელთა ქალაქია. რა ეტაპზეა ახლა თქვენი მეგობრობა?

— გასულ წელს თურქეთიდან იყო წარმომადგენლობა სტუმრად, წელს, მაისში მოსწავლეებს ვაგზავნით ფესტივალზე და გადაწყვეტით შემიძლია ვთქვა, რომ მურღულისა და ჭიათურის დამეგობრება არ დარჩება ფურცელზე!

— სოფლის მხარდაჭერის პროგრამების შესახებაც გვითხარით ორიოდე სიტყვა...

— სოფლის მხარდასაჭერად დაიხარჯება მილიონზე მეტი ლარი. მოსახლეობამ თავად გადაწყვიტა, თუ რა სჭირდება უფრო და პრიორიტეტები თავად დაასახელეს. შარშან უკვე ჩვენ სოფლებში ბევრი პროექტი დასრულდა წარმატებით, თუმცა ზოგიერთის დასრულება ერთ წელში არ ხერხდებოდა და წელს გაგრძელდება.

— მახსოვს, რომ ჭიათურის მოსახლეობა მუდამ უწყლობაზე ჩიოდა და წყლის ხარისხზეც უკმაყოფილო იყო...

— ჭიათურას უხარისხო კი არა, ბინძური წყალი მიეწოდებოდა. წყალს მოჰყვებოდა მანგანუმი, ფეკალიები, ქვეწარმავლები... მსოფლიო ბანკის დაფინანსებით 7 600 000 ლარი წყლის პრობლემების აღმოფხვრისთვის დაიხარჯება. ვფიქრობ, რომ მომდევნო წელში ჭიათურის მუნიციპალიტეტში აღარ იქნება ეს პრობლემა.

— თქვენი მხარდაჭერით ჭიათურაში იმერეთისთვის უპრეცედენტო შემთხვევა მოხდა. მხოლოდ ჭიათურაში არ „გადაუმალავთ" შშმ პირებისათვის შესაბამისი ფართი!

— ის ორსართულიანი შენობა, რომელიც „ნაბიჯი-ჭიათურას" უზურფრუქტით გადავეცით, მოსაწყობია, მაგრამ ადგილობრივი ძალებითა და საზოგადოების ჩართულობით უნდა მოვაწყოთ. სახელმწიფო დირექტივაა, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ბევრად უკეთესი გარემო შევქმნათ და ამას გავაკეთებთ!

როლანდ ხოჯანაშვილი

მილოცვა

85-ე იუბილე!

დიდი ოჯახის უფროსს, ბატონ **ვახტანგ თვალთვაძეს**, შვილები, რძლები, სიძე, შვილიშვილები და შვილთაშვილები სიყვარულით ვულოცავთ დაბადების დღეს!

ვუსურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, ოჯახის სიმრავლეს! კიდევ მრავალი წელი ყოფილიყოს მისი ოჯახის სათავეში.

კვირის ჰოროსკოპი

ვერძი: უმჯობესია ნერვებს გაუფრთხილდეთ, რადგან დაგჭირდებათ ოჯახში ბავშვებთან ან ასაკოვან ნათესავებთან ურთიერთობისას.

კურო: თუ თქვენ საკუთარი თავის წარმოჩენას გეგმავთ, საგულდაგულოდ შეარჩიეთ ადგილი და დრო ამისათვის.

ტყუპები: ეცადეთ, ცხოვრებისა და საქმიანობის ანალიზი გააკეთოთ, რაც მომავალში ისევ თქვენ დაგეხმარებათ.

კირჩხიბი: ოჯახური საქმეები დიდ დროს წაგართმევთ. თუმცა, ყველა საქმეში წარმატება გელით.

ლომი: ეცადეთ, არაფერი დაგეგმოთ. არ მოუსმინოთ ჭორებს, რადგან შეიძლება გული გეტკინოთ.

ქალწული: კარგი დროა მოგზაურობისთვის და შოპინგებისათვის. ეცადეთ თავისუფალი დრო მეგობრების გარემოცვაში გაატაროთ.

სასწორი: წარმატება გელით ინტელექტუალურ საქმიანობაში. სირთულეები-სასიყვარულო ურთიერთობებშია მოსალოდნელი.

მორიელი: ფინანსურ საკითხებში პრინციპულობა გამოიჩინეთ. პარტნიორებთან ურთიერთობისას კი ეცადეთ, მათი აზრიც გაითვალისწინოთ.

მშვილდოსანი: ფიზიკური დატვირთვა ნამდვილად წაადგება თქვენს ჯანმრთელობას.

თხის რქა: მოგიწევთ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება, რომლის მიღებასაც უკვე დიდი ხანია თავს არიდებთ.

მერწყული: ისეთი რამ შეიძლება მოხდეს, რის გამოც მეგობრების დახმარება დაგჭირდებათ.

თევზები: მოთმინების უნარს დაკარგავთ, გააკონტროლეთ თავი, არ გააკეთოდ ისეთი რამ, რაც მერე სანანებელი გაგიხდებათ.

წინა ნომრის კროსვორდის პასუხები

თარაზულად: 3. ათეიზმი; 5. კროლი; 6. უდე; 8. ფხა; 9. მარაო; 11. მარაბდა.
შვეულად: 1. რეალი; 2. იზა; 3. აბრახამ; 4. ინდიანა; 7. ბარბი; 10. ორი.

სკოლის დღიური

„დედამიწის დღე“ 30-ე სკოლაში

22 აპრილი, დედამიწის დღე, 1970 წლიდან აღინიშნება და ის სენატორმა გეოლორდ ნელსონმა მას შემდეგ დაარსა, როცა სანტაბარბარას საბადოდან ნავთობი დაიღვარა, რამაც ოკეანის დაბინძურება და წყლის ბინადართა განადგურება გამოიწვია. ყოველ წელიწადს ამ დღისადმი მიძღვნილ სხვადასხვა აქციაში მიახლოებით 174 ქვეყნის უამრავი ორგანიზაცია და მილიონობით ადამიანი საკუთარი გარემოს გაუმჯობესების მიზნით მონაწილეობს. საქართველოში ეს დღე 1990 წლიდან აღინიშნება.

დედამიწას ძალიან ბევრი პრობლემა ექმნება, დიდი საფრთხის წინაშე ვდგავართ. თუმცა, რას ვაკეთებთ იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ ბუნებრივი კატასტროფები?

ერთადერთი გზა, რითაც დედამიწის მოვლა შეგვიძლია, არის გარემოს დაცვა. უნდა შევეცადოთ, შევზღუდოთ ისეთი მოქმედებები, რითაც ზიანს ვაყენებთ ჩვენს პლანეტას.

მაგრამ როგორ?

ყველამ ვიფიქროთ მომავალზე, ყველამ გამოვიყენოთ გონივრულად დაგროვილი ცოდნა და გამოცდილება და მთავარი, აღვზარდოთ მომავალი თაობა ეკოლოგიურად განათლებული. ამისათვის იღვწის ქ. ქუთაისის 30-ე საჯარო სკოლაც და თამამად შეიძლება ითქვას, მოსწავლეთა ეკოლოგიური კულტურა მაღალია. სკოლაში გროვდება მაკულატურა, სუფთავდება სკოლის მიმდებარე ტერიტორია, ირგვება ნაძვები და ა.შ.

22 აპრილის მოახლოებისას მოსწავლეთა ინიციატივით X[1] კლასში გეოგრაფიის მასწავლებელმა ნესტან ლომთაძემ ჩაატარა ღია გაკვეთილი „დედამიწა ჩვენი სახლია“, რომლის მიზანი იყო ზრუნვა დედამიწაზე, ჩვენს საცხოვრებელ გარემოზე. მოსწავლეებმა მოიძიეს ინფორმაციები, შექმნეს შინაარსობრივად დატვირთული ნახატები და დაამზადეს ბანერები. გაკვეთილი შედგებოდა სამი ძირითადი აქტივობისაგან. პირველ ნაწილში გავიხსენეთ დედამიწის ფიზიკურ-გეოგრაფიული მახასიათებლები, „მოვეფერეთ დედამიწას“. მეორე ეტაპზე მოსწავლეებმა ჯგუფურად იმუშავეს შემდეგ თემებზე:

1. მსოფლიო მოსახლეობის ზრდით გამოწვეული პრობლემები;
2. ეკოლოგიური პრობლემების ზოგადი მიმოხილვა;
3. ატმოსფეროს ეკოლოგიური პრობლემები;
4. მსოფლიო ოკეანის პრობლემები;
5. ტექნოგენური კატასტროფები.

მოსწავლეებმა შექმნეს ტექსტური მასალა, თავიანთი ჩანაფიქრი და ემოცია გადმოსცეს ნახატებით, ეკოლოგიურად დაბინძურებული არიალები გადმოსცეს კონტურულ რუკაზე. პრეზენტაცია საინტერესო და ღრმა შინაარსობრივი იყო.

მესამე ნაწილში გაიმართა დედამიწისადმი მიძღვნილი ფილმების ჩვენება.

შემაჯამებელი გაკვეთილი მიუძღვნა „დედამიწის დღეს“ ფიზიკის მასწავლებელმა ნაზი შენგელიამ 22 აპრილს, VIII [2] კლასში, თემა იყო: „სითბური ძრავები და გარემოს დაცვა“. მოსწავლეებმა ისაუბრეს სითბური ძრავების სახეებზე, ძრავების მარგი ქმედების კოეფიციენტზე. ენერგიის მიღების ალტერნატიულ გზებზე. გაკვეთილს ზედ დაერთო დედამიწის დღისადმი მიძღვნილი აქცია „როგორ მოვუაროთ დედამიწას ეკოლოგიის თვალსაზრისით“, დამზადდა შესაბამისი ბანერები და ვიდეოროგოლები. ელექტროენერგიის დაზოგვის მიზნით კი სკოლაში დაირეკა ხელის ზარი.

როგორ განვათავსოთ განცხადება გაზეთ „P.S.“-ში („პოსტსკრიპტუმში“)

უფასოდ

ქვემოთ მოცემულ კუპონზე

განცხადებების მიღება ხდება კერძო პირებიდან

დაბეჭდვის თარიღი დამოკიდებულია კუპონის მიწოდების თანმიმდევრობაზე

კუპონი უნდა ჩაბარდეს

რედაქციაში - ქ. ქუთაისი, რუსთაველის ქუჩა 37ა;
სავაჭრო ცენტრ „ფუდმარტში“(ყოფილი „პოპული“) - წიგნების მაღაზია „ქიმერიონი“, რუსთაველის 141.

არ მიიღება კანონთან შეუსაბამო, შეურაცხმყოფელი, უხამსი, ეროტიკული შინაარსის განცხადებები.

განცხადების ღირებულება შედის გაზეთის ფასში

მცირე განცხადების კუპონი

აღნიშნე კატეგორია

უძრავი ქონება
- [ ] გავყიდი
- [ ] ვიყიდი
- [ ] გავაქირავებ

ავტო-მოტო
- [ ] ვიყიდი
- [ ] გავყიდი

სამსახური
- [ ] ვეძებ სამუშაოს

სხვადასხვა
- [ ] ვიყიდი
- [ ] გავყიდი
- [ ] სხვა
- [ ] ცხოველები

განცხადების შინაარსი

ტელ: >>

სახელი და გვარი (მხოლოდ რედაქციის ცნობისათვის)

კონტაქტი (მობილური ან სტაციონალური)

ელექტრონული ფოსტის მისამართი

- [ ] **არ ვარ განცხადების შინაარსთან დაკავშირებული კერძო მეწარმე**
- [ ] ვაცხადებ თანხმობას, ფირმის მიერ გამოყენებულ იქნას განცხადებაში აღნიშნული მონაცემები

ხელმოწერა გარკვევით

რედაქციას აქვს უფლება, კუპონზე შევსებული ერთჯერადი განცხადება დაბეჭდოს კუპონის ჩაბარების დღიდან 14 დღის განმავლობაში
კუპონი (ერთჯერადი) არის ძალაში მისი გამოქვეყნების დღიდან 3 კვირის განმავლობაში.

05.05.2014



შეადგინა ალეკო ნემსაძემ

ვინ არის ფოტოზე?

პასუხი წინა ნომრის ფოტო-ვიქტორინაზე

საქართველოს პირველი პრეზიდენტის შვილი, **კონსტანტინე გამსახურდია** ამოიცნეს ლილი კოხრეიძემ და ვალერიან კილაძემ.

რას დაარქმევდით?

ეკა ბესელია

პასუხი წინა ნომრის ფოტო-ვიქტორინაზე

კახი კალაძე

დაგვიკავშირდით:
- **(0 431) 24-45-46, 24-82-25.**
- **psnews27@gmail.com**

კალა, როგორაა საქმე? აკი გვეშველებაო?

დოდო ჭიქაბერიძე

კროსვორდი

თარაზულად: 3. რა არის ტაიტი. 5. მდინარე შორეულ აღმოსავლეთში. 6. ადამიანის ბალანი. 8. დიდი მახრჩობელა გველი. 9. ჯადოქრობა, მისნობა. 11. ისლანდიის პარლამენტი.

შვეულად: 1. ქალაქი საქართველოში. 2. ... დე ფიუნესი. 3. ქვეყანა ინდოჩინეთში. 4. ეს ციხესიმაგრე აიღო სუვოროვმა. 7. თეფში. 10. ფრანგი ფიზიკოსი ალექს ტერეზ....



ქუთაისური „გვირილობა"

პირველი გვერდიდან

დამონტაჟდა ორი სცენა — თეთრი ხიდის მიმდებარე ტერიტორიაზე, სადაც მუსიკალური ნომრები შეასრულეს სხვადასხვა ჯგუფებმა: „ოჩოს ქოხი", ფრანი, „მუზეუმი"... შესრულდა ქუთაისის ჰიმნი, ხოლო ცენტრალურ მოედანზე დამონტაჟებული სცენა ლაზერ შოუსთვის იყო განკუთვნილი. დღის განმავლობაში სხვადასხვა სახის გასართობ სანახაობას ადევნებდნენ თვალს ქუთაისელები და ქალაქის სტუმრები: სპორტული შეჯიბრებები (კალათბურთი, მინდვრის ჰოკეი, შეჯიბრი ძლიერ მამაკაცთა შორის, ჭიდაობა, ველო და მოტო რბოლები, ტანმოვარჯიშეთა შოუ...), კულტურულ მემკვიდრეობათა გამოფენა-გაყიდვა, ბაღში დაიდგა პატარების გასართობი ატრაქციონი, გიმნაზიელის ფორმებში გამოწყობილი გოგო-ბიჭები ხალხში გვირილებს არიგებდნენ, ჩოხოსნებმა დაიარეს ქალაქის ქუჩები და ზეიმს კიდევ უფრო ტრადიციული სახე შესძინეს, ქალაქის ცენტრში გაიმართა თეატრალიზებული მსვლელობა, ყვავილები გამოფინეს „მონ პლაზირის" თაღთან, ხოლო ამავე პერიოდში ვერიკო ანჯაფარიძის სკვერში ხელნაკეთი აქსესუარები გამოიფინა; ანჯაფარიძის სკვერთან გაიხსნა ფოტოგამოფენა „ქუთაისი ფოტოგრაფების თვალით"; ანჯაფარიძის სკვერში ასევე საზეიმოდ გაიხსნება ქვევრის (ანუ იმერულად რომ ვთქვათ, ჭურის) ძეგლი. მოეწყო ღვინის ფესტივალი; სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში გაიხსნა ქუთაისის არქეოლოგიური კვლევისადმი მიძღვნილი გამოფენა; მოეწყო გამოფენა- პერფორმანსი: ქუთაისური სალონური ცხოვრება...

ეს ტრადიციული მაისობა და ქუთაისქალაქობა ქუთაისის ბიუჯეტს 80000 ლარი დაუჯდა.



ჟანა ჯანელიძე

(ჟანა ჯანელიძისა და ნესტან ჩაგელიშვილის ფოტოები)

სტუდენტებმა სხვებს დღე გაულამაზეს

„ჩვენ გილამაზებთ ერთ დღეს" – სწორედ ამ მიზნით შეიკრიბა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საჯარო მმართველობის პირველი კურსის რამდენიმე სტუდენტი და მათი ლექტორის დახმარებით, პროექტის ფარგლებში, დღის მანძილზე, განახორციელა რამდენიმე აქტივობა.

ბექა კუტივაძე, მანჩო ხაჭაპურიძე, თათია გოტიაშვილი და ნათია გაგილაძე – ამ ოთხი ადამიანისგან შემდგარმა ჯგუფმა, აწსუ-ს დემოკრატიისა და მოქალაქეობის ლექტორის, ქეთევან კუხიანიძის მეთაურობით, სამედიცინო კლინიკა „ბომონდში" 30 აპრილს მშობიარე დედები AVON-ის სამკაულებით დაასაჩუქრეს. შუადღეს სტუდენტთა ჯგუფი ერთ-ერთი ქუთაისში მცხოვრები სოციალურად დაუცველი ოჯახის დასახმარებლად გაეშურა. ოჯახს გადასცეს ხორცპროდუქტებით სავსე კალათა, მათი მომმარაგებელი კი „გურმანი" გახლდათ. დღის ბოლოს დამაგვირგვინებელი ღონისძიება კი ახალგაზრდებმა გასართობ ცენტრ „დინოში" გამართეს, სადაც მათ მხიარული, გემრიელობებითა და საჩუქრებით სავსე საღამო მოუწყვეს ლეიკემიით დაავადებულ ბავშვებს. პატარები „ბიბლუსმა" დაასაჩუქრა წიგნებით, ასევე საჩუქრების მაღაზიამ „ა ჭიტა" და ეს ყველაფერი, რაღა თქმა უნდა, იმ სიკეთით სავსე და მონდომებული სტუდენტებისა და ლექტორის დახმარებით, რომლებმაც ზემოთხსენებულ ქალებს თუ ბავშვებს ნამდვილად გაულამაზეს ერთი დღე.

„დემოკრატია და ჩართულობა, რომელიც დაინერგა საგნად ჩვენს უნივერსიტეტში, უზრუნველყოფს ინდივიდის ჩართულობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში. სტუდენტი სწავლობს, საკუთარი სიტყვა თქვას სახელმწიფოს მშენებლობაში და გადადგას ნაბიჯი საზოგადოების განვითარებაში. 15 მაისამდე იგეგმება სხვადასხვა პროექტი, რომლებიც მიმართულია სხვადასხვა სოციალური აქტივობისკენ, როგორიცაა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების დახმარება, გარემოს დაცვისა და დასუფთავების პროექტები და ა.შ." — განაცხადა **ქეთევან კუხიანიძემ.**

„ყველა ადამიანი ბედნიერია მაშინ, როდესაც სიკეთეს აკეთებს. როცა სხვები ბედნიერები არიან, განსაკუთრებით კი ბავშვები და როდესაც ისინი იღიმიან, მეც მაბედნიერებს ეს," – ამბობს **ნათია გაგილაძე.**

მარიამ ხურციძე

psnews.ge

წიგნების მაღაზია ქიმერიონი
qimerioni.ge

ყოველგვარი ფასნამატის გარეშე შეიძინეთ:

- ქართული თუ უცხოური ლიტერატურა;
- კლასიკოსი და თანამედროვე მწერლების ნაწარმოებები;
- მაღალპოლიგრაფიულ დონეზე გამოცემული საბავშვო შემეცნებითი და გასართობი წიგნები;
- სამეცნიერო ხასიათის გამოცემები;
- ენციკლოპედიები;
- ლექსიკონები;
- ჟურნალ-გაზეთები

წიგნიმი შენ გელოდება

ქუთაისი, სავაჭრო ცენტრი „ფუდმარტი" (ყოფილი „პოპული"), წიგნების მაღაზია „ქიმერიონი".

ტელეფონი: 790 927 927; (0 431) 274 474

პრესკონფერენციები, ბრიფინგები, პრეზენტაციები

PSpress-კლუბი

ქუთაისი, რუსთაველის 37ა (პრესის სახლი). 599 10 77 94